საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №161/ნ
2015 წლის 14 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში (ვებგვერდი, 28/09/2015; სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სასწავლო კურსის დანამატი, რომელიც მოიცავს მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სასწავლო კურსის წარმართვის საბაზო დანამატს და მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სასწავლო კურსის საგაკვეთილო დანამატს ყოველ საგაკვეთილო საათზე.

2. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოს სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით გაანგარიშებისას, მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატების (გარდა ამ დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანამატებისა) კოეფიციენტები განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) კლასკომპლექტით სწავლება – 0.1;

ბ) არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის ან/და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება – 0.1;

გ) კლასის დამრიგებლობა – 0.25;

ბ) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სასწავლო კურსის წარმართვის საბაზო დანამატი შეადგენს 28.4 ლარს. ხოლო მოსწავლეებისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სასწავლო კურსის საგაკვეთილო დანამატი ყოველ საგაკვეთილო საათზე შეადგენს 6.0 ლარს.

3. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის დანამატი ეძლევა:

ა) მასწავლებელს, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ან მენტორის სტატუსი და შესაბამის საფეხურზე ასწავლის იმ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა, გარდა ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) მასწავლებელს, რომელიც სქემაში განაწილდა ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული წესით და:

ბ.ა) არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს, გარდა ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ.ბ) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით, ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) უცხო ენის მასწავლებელს, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი ან მენტორის სტატუსი და შესაბამის საფეხურზე ასწავლის შესაბამის საგანს, რომელშიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

დ) უცხო ენის მასწავლებელს, რომელიც სქემაში განაწილდა ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №74 დადგენილებით დამტკიცებული წესით და არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შესაბამის საგანში და ასწავლის ამავე საგანს.“.

4. დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კლასკომპლექტით სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში)	არაქართულენოვან სკოლებში/ სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი (სრული დატვირთვის შემთხვევაში)	კლასის დამრიგებლობის დანამატი
0.1	0.1	0.25
35,5	35,5	88,75

საბაზო თანამდებობრივი სარგო=1თვე	355	

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 01 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**